

Irma Ratiani

ირმა რატიანი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Works of the First Wave of Georgian Emigration. Genre Classification.

Review.

**პირველი ტალღის ქართული ემიგრაციის შემოქმედება. ჟანრული კლასიფიკაცია.
მიმოხილვა.**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10943>

The general purpose of this study is to examine the literary legacy of Georgian émigrés using modern methodologies. The ultimate goal is to study the worldview, conceptual, and stylistic characteristics of the literary and artistic heritage of Georgian emigrant authors, their creative identity, and their creative connections with Georgian classical and Soviet, as well as European, writing. However, to fully develop this research, it is necessary to overcome the initial stage associated with the genre classification of works by émigré authors, which is presented below.

Keywords: Émigré writers, Georgian, literary genres

საკვანძო სიტყვები: ემიგრანტი მწერლები, ქართველი, ლიტერატურული ჟანრები

წინამდებარე სტატია წარმოადგენს მცდელობას, განხორციელდეს ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის (1920-30-იანი წწ.) წარმომადგენელთა შემოქმედების პირველადი ჟანრული კლასიფიკაცია.

საკითხის დასმა:

ქართული ლიტერატურის ისტორიის ნებისმიერი ინტერპრეტაცია, რომელიც არ მოიცავს ემიგრანტების მწერლობას, წარმოადგენს ქართული ლიტერატურის არასრულყოფილ ხედვას. ქართველი ემიგრანტი მწერლები ცდილობდნენ ეპოვათ საკუთარი თავისა და თავიანთი მწერლობის ადგილი, რასაც დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქართული მწერლობის, ისე – ევროპაში ემიგრანტების მიერ შექმნილი მწერლობის სრულყოფილად გააზრებისთვის. ას წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც, ბოლშევიზმის იდეოლოგიურ დიქტატურასთან განცდილი მარცხის კვალდაკვალ, ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა იძულებით დატოვა სამშობლო და ევროპის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. მათ შორის, მრავლად იყვნენ შემოქმედებით ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნებები, რომლებმაც სამშობლოს ფარგლებს განაგრძეს თავიანთი მოღვაწეობა. შედე-

გად, პირველი ტალღის ქართული ემიგრაციის წიაღში მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა შეიქმნა.

ჩვენი ფუნდამენტური კვლევის საგანია 1920-30-იან წლებში ევროპულ ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი მწერლების მიერ შექმნილი ლიტერატურული ტექსტების – პროზის, პოეზიის, ესეისტიკის, ლიტერატურული კრიტიკის და სხვ. – სამეცნიერო შესწავლა და ანალიტიკური კვლევა, რაც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ, რომელმაც უკვე გაითავისა ევროპაში აპრობირებული კვლევის მეთოდები, ახლებურად უნდა გაიაზროს და გადაიაზროს ქართველი ემიგრანტი ავტორების ლიტერატურული მემკვიდრეობა, გადასინჯოს ანალიტიკური მიდგომები და ტერმინოლოგიური ტენდენციები.

ფუნდამენტური კვლევის მიზნები და მეთოდები:

კვლევის ზოგადი მიზნები საკმაოდ ფართო და მასშტაბურია, კერძოდ, ქართველი ემიგრანტების ლიტერატურული მემკვიდრეობის თანამედროვე მეთოდოლოგიებით შესწავლის საფუძველზე. დაგეგმილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა, როგორცაა: ა) ქართველი ემიგრანტი ავტორების ლიტერატურულ-მხატვრული მემკვიდრეობის მსოფლმხედველობრივი, კონცეპტუალური და სტილური თავისებურებები; ბ) შემოქმედებითი იდენტობის საკითხი (ემიგრანტი მწერლების შემოქმედება ცალკე დგას, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში აცხადებდნენ, თუ ის ქართული ლიტერატურული პარადიგმის განუყოფელი ნაწილია?); გ) ემიგრანტთა შემოქმედებითი კავშირი ქართულ კლასიკურ მწერლობასა და თანამედროვე საბჭოთა საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესთან (როგორ აფასებდნენ ისინი საქართველოში დარჩენილი კოლეგების შემოქმედებას და – პირიქით); დ) იმდროინდელ ევროპულ ლიტერატურულ ტენდენციებთან მათი ნათესაობის საკითხი, და სხვ.

თითოეული ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა ნათელს მოჰფენს დასახელებული პერიოდის ქართველი ემიგრანტების ლიტერატურული შემოქმედებისა და ქართული ლიტერატურული ტრადიციის მთლიანობის დასაბუთებას. თუმცადა, „ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმო“, ბრძანებდა ილია, და დაგეგმილი კვლევაც ვერ მოძებნის შესაბამის კალაპოტს, თუკი პირველ ამოცანად შექმნილი პროდუქციის ჟანრული კუთვნილების დადგენას არ დავისახავთ. ჟანრული კუთვნილებისა და მრავალფეროვნების დასადგენად კი, პირველ რიგში, უნდა მივმართოთ, მარტივი კლასიფიკაციის მეთოდს, რაც მოგვიანებით გადაიზრდება თვისებრივ ანალიზში და ჩაიშლება შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჰერმენევტიკული მეთოდის სხვადასხვა მოდელებში.

პირველადი კლასიფიკაციის სტატისტიკური შედეგები:

საგანგებო დაკვირვების ობიექტად შეირჩა ქართველ ემიგრანტთა ცნობილი გამოცემები: „კაკვასიონი“, „ჯვარი ვაზისა“, „სამშობლოსათვის“, „ბრძოლა“, „სახალხო საქმე“, „ახალი ივერია“, „მხედარი“, „საქართველოს მოამბე“; გაზეთები: „თეთრი გიორგი“, „საქართველო“, „მამულიშვილი“, „თავისუფალი საქართველო“, „ახალი საქართველო“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „ბრძოლის ხმა“ და სხვ., სადაც უხვად იბეჭდებოდა ქართველ ავტორთა ტექსტები. საგანგებო კვლევის საგანი გახდა: ს. ბერეჟიანის, რეო ამონის, რაფის, სტ. კასრადის, გრ. რობაქიძის, ვ. მგელაძის, ბ. ბებურიშვილის, გ. გამყრელიძის, ა. ქეიბურის, დ. მეჩონგურეს, გ. ნოზაძის, გ. ყიფიანის, გელას, გ. ჟურელის, და სხვათა ტექსტები, რომლებიც საკვლევად მონიშნულ პერიოდშია შექმნილი; აგრეთვე, ი. მანწკავას, მ წულუკიძის, ვლ. ბაქრაძის, ზ. ავალიშვილის და სხვათა ესეები და წერილები.

კვლევის პირველადი შედეგები ეფუძნება თითოეულ მითთებულ ლიტერატურულ ჟანრში შესრულებული სამუშაოს რაოდენობრივ მონაცემებს და ამ პრინციპითაა დალაგებული:

1. **პოეზია** (ს. ბერეჟიანი, დ. მეჩონგურე, ა. ტყემალაძე, რაღფი, ვ. წილოსანი, რეო ამონი, ვ. ბარელი, ტაიფუნი, ფატმან, პრ. აბულაძე, გ. ნაილი, გ. ყიფიანი, ბ. ბებურიშვილი, ო. შუშანი, გ. გამყრელიძე, დ. ყურულიშვილი)¹;
2. **კრიტიკა** (ვლ. ბაქრაძე, ი. მანჭავაძე, მ. წულუკიძე, ვერიკო სოსანი, თინათინ ჯავარიანი, თამარ ვარდანისა, ზ. ავალიშვილი, რ. არსენიძე, ლ. კვარაცხელია);
3. **პროზა** (ს. კასრაძე, მ. მარუშიძე, გ.ა. უტეხელი);
4. **თარგმანი** (რაბინდრანთ თაგორისა, გი-დე მოჰსანისა, ერიკ მარია რემარკისა);
5. **ესეისტიკა** (შ. ამირეჯიბი, აკ. ასათიანი, მ. წულუკიძე, ისახარ);
6. **მემორული ლიტერატურა** (ვლ. მგელაძე, გ. ჟურული);
7. **დრამატურგია** (დ. ლალიაშვილი).

ამ ეტაპზე, შემოქმედებით თვალსაზრისით, გამოკვეთილია შვიდი საკლასიფიკაციო ჯგუფი; თითოეული მათგანისა და შესაბამისი ავტორების ტექსტების დეტალური შესწავლა საშუალება მოგვცემს, პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ ფუნდამენტურ კითხვებს, შინაარსობრივი და სტილისტური თავისებურებების გათვალისწინებით.

¹ ფსევდონიმები გაიხსნება კველვის პროცესში.